



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARALI NATIONAL FORENSICS BUREAU

5006642815

12/01/2016

საჯარო საბარათის იურიდიული პირი



5006642815

№

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
თბილისის შთავარი სამმართველოს დეტექტივების
სამმართველოს I განყოფილების გამომძიებელს კენ
თამარ ზედგენიძეს

201 წ.

ქალბატონო თამარ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N0007575720 მომართვის (ბიუროს 2015 წლის 20 დეკემბრის რეგისტრაციის N1009458015) საფუძველზე, გიგზავნით სამედიცინო ექსპერტიზის N007667015 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 11 ფურცლად;

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის ხაზი №84 წ. (995 32) 229 84 84
84 Chevchavadze ave. Tbilisi 0162, Georgia ■ info@forensics.ge
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 წ. (995 439) 21 50 03
5 Meskhi str. Kutaisi 4600, Georgia ■ info@gepsn.ge
ბათუმი 6000, კუხიძის ქ. №145 წ. (995 422) 27 34 20
145 Pushkini str. Batumi, Georgia ■ info@gepsn.ge



007667015

ექსპერტის დასკვნა № 007667015

დასკვნის ტექსტი (მეტწილად გახიზვებულია)

გასვლის თარიღი: 12.01.2016წ

დასკვნა

თორნიკე ქაფიაშვილის სიკვდილის მიზეზია ობტურაციული ასფიქსია, ცხვირ-პირის აპერტურის/შესაღების/ გადაკეტვით.

თ ქაფიაშვილის გვამს აღენიშნებოდა წერტილოვანი სისხლჩაქცევები ორივე თვალბუდის არეში, ასევე ცხვირ-ტუჩის გარშემო და ზედა და ქვედა ტუჩების ლორწოვანებზე, წერტილოვანი სისხლჩაქცევები თვალის სკლერებში, ორივე ფილტვის მფარავი პლევრის ქვეშ, წილთაშუა და დიაფრაგმალურ ზედაპირებზე, ეპიკარდიუმის ქვეშ და მკერდუკანა ჯირკვალზე. შეუდევლები, მუქი წითელი ფერის სისხლი გულის ღრუებსა და სისხლძარღვებში. უსწოროკიდებიანი ზედაპირული ნასკდომები, ირგვლივ სისხლჩაქცევებით ქვედა ტუჩის ლორწოვანზე. სისხლნაყენები და ხაზოვანი ნაჭდევი მარცხენა ყურის უკან. ხაზოვანი ნაჭდევი განვითარებული უნდა იყოს რაიმე მახვილი საგნის წვეტის, ლუსილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი-ბლაგვი საგნის შემთხვევაში ზემოქმედების შედეგად. სისხლნაყენები და ტუჩის ლორწოვანზე არსებული უსწოროკიდებიანი ნასკდომები, სისხლჩაქცევებით განვითარებული არიან რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიზეზობრივ კავშირში იმყოფებიან დამდგარ შედეგთან-სიკვდილთან. ზ/აღნიშნული დაზიანებები განვითარებული არიან სიცოცხლის პერიოდში, სიკვდილის დადგომამდე დროის უმოკლეს პერიოდში.

გარდა ზ/აღნიშნული დაზიანებებისა თ ქაფიაშვილის გვამს ასევე აღენიშნებოდა ხაზოვანი ნაჭდევი მარჯვენა წინამხრის არეში, რაც განვითარებულია სიცოცხლის პერიოდში, სიკვდილის დადგომამდე დროის უმოკლეს პერიოდში, განვითარებული უნდა იყოს რაიმე მახვილი საგნის წვეტის, ლუსილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი ბლაგვი საგნის შემთხვევაში ზემოქმედების შედეგად და იზოლირებულად აღებული ატარებს მსუბუქი ხარისხის დაზიანებათა ნიშნებს.

თ. ქაფიაშვილის გვამის სასამართლო სამედიცინო გამოკვლევის მონაცემების გათვალისწინებით სიკვდილის დადგომიდან გვამის გამოკვლევამდე გასული უნდა იყოს არანაკლებ 6 საათისა.

თ. ქაფიაშვილის გვამიდან აღებულ იქნა სისხლის, თმის, ფრჩხილების ნიმუშები, ასევე უცხო სხეულები თავისა და კისრის მიდამოებიდან და ტანსაცმელთან ერთად, დალუქული სახით გადაეცა კანცელარიას.

ელენე ჭითანავა

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ თორნიკე ქაფიაშვილის გვამიდან აღებულ სისხლში არ აღმოჩნდა მეთილის, ეთილის, იზოპროპილის სპირტები, სისხლსა და შინაგან ორგანოებში არ აღმოჩნდა ნარკოტიკული საშუალებები და ფსიქოტროპული ნივთიერებები: ოპიატები, კოკაინი, ბუპრენორფინი, მეტადონი, ამფეტამინი, მეტამფეტამინი, ტეტრაპიდროკანაბინოლი, ბარბიტურის მკვას ნაწარმები, ბენზოდიაცეპინები, ტრიციკლური ანტიდეპრესანტები, სისხლსა და შინაგან ორგანოებში არ აღმოჩნდა საძილე ნივთიერებები: ციკლოპიროლინის ნაწარმებიდან - ზოაკლონი; იმიდაზოპირიდინის ნაწარმებიდან - ზოლპიდემი; პირაზოლოპირიმიდინის ნაწარმებიდან - ზალუკლონი; შინაგან ორგანოებში არ აღმოჩნდა: ციანწყალბაზმეკვა და მისი მარილები, ფორმალინი, ფენოლი, კრეზოლი, ქლოროფორმი, ქლორალჰიდრატი, დიქლორეთანი, ოთხქლორნახშირბადი, ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდები, დარიშხანი, სინდიყი.

